ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№62. 622312410**
თარიღი:**04/05/2023**

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზება არ მოხდა ელექტრონულ აუქციონზე მონაწილის არარსებობის გამო (განაცხადის №48058EKA86204923, აუქციონის №48058, ლოტის №862049, დაწყება/დასრულება 01.02.2023-10.02.2023).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე–2 მუხლის ,,ო“–ქვეპუნქტის განმეორებითი აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება შეცვლილი პირობებით და ფასით, ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ეს ქონება შესაძლებელია, გატანილ იქნეს საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება განმეორებით ელექტრონულ აუქციონად. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება შემცირდეს 50%-მდე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე–2 მუხლის ,,ო“–ქვეპუნქტის და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების

საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზება განხორციელდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 100000 (ასითასი) ლარი.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) ბიჯი განისაზღვროს 5000 (ხუთიათასი) ლარის ოდენობით.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი